ანტოშკა

*ეძღვნება **სიდ ბარეტს Vegetable Man**-ისათვის*

(საქართველო, ათიანი წლები, მაღაროელთა ქალაქი)

თუ ამ ქალაქიდან დროზე ვერ გაიქეცი ბოლოს შენც მაღაროში მოგიწევს ჩასვლა. აქ (მაღაროში) მუშაობენ:

ეკო, რომელსაც მფრინავობა უნდოდა, დათო, რომელსაც ექიმობა სურდა, ნინო-ყვავილების გამყიდველობაზე მეოცნებე, ფრანგულის მასწავლებელი ნიკოც...

ისინი მუშაობენ მიწაში, რამდენიმე ასეული მეტრის ქვემოთ, სიღრმეში, ძალიან შორს თავისი ოცნებებისაგან.

ზოგიერთ მათგანს უყვარს თავისი ქალაქი, მაგრამ უკლებლივ ყველას სურდა აქედან გაქცევა, ერთხელ მაინც.

იცოდნენ, რომ ამ ქალაქმა მათ ოცნებები წაართვა. აქ თუ დარჩები ყველაფერი უნდა დაივიწყო და მაღაროში ჩახვიდე. სხვა სამუშაოს, მომავლის პოვნა თითქმის შეუძლებელია.

***

ეს ამბავიც მაშინ მოხდა, როცა ანტოშკამ მაღაროში გადაწყვიტა ჩასვლა. ორმოცდარაღაცა წლის ასაკში. ადრე არც უფიქრია იქ მუშაობა, მაგრამ ახლა ოჯახი უნდა გადაერჩინა.

ანტოშკა მუსიკოსია. ოცდაშვიდჯერ გამართა კონცერტი და ოცდაშვიდჯერვე ჩაეშალა. პირველად, როცა სულ 16 წლის იყო, ერთი სიმღერის დამღერება კი მოსაწრო, მაგრამ კულისებში შესულს პიონერთა სასახლის ხელმძღვანელმა ყურები ყველას დასანახად დააწელა და გარიცხა.

დიდი ხნის მერე კულტურის სახლში სცენაზე აუვარდნენ და ცემით ჩამოიყვანეს.

მერე ქუჩაში სცადა კონცერტის გამართვა, მაგრამ მეზობლებმა ჯერ პოლიცია და მერე კი, მამა ექვთიმე მიუგზავნეს. მოძღვარმა ქუჩაში სიმღერა აუკრძალა, “ნუ გადამირევ ხალხს შენი პანკ როკითო’’.

ისე, ისიც დაუმატა, “დარბაზში იმღერე, თუ გინდაო....’’

ანტოშკას არ სწყენია. ყოველთვის ღიმილით ხვდებოდა მამა ექვთიმეს.

***

მოკლედ, ანტოშკას სიმღერები მის ქალაქში არავის ესმოდა და არც მოსწონდა.

შეიძლება იმიტომ, რომ ზოგჯერ უცენზურო სიტყვებს გამოურევდა, მაგრამ მთავარი მიზეზი ალბათ მაინც სხვა იყო.

ანტოშკა ის კაცი არაა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ხალხისთვის დაებრალებინა. აქაოდა, ჩემი შემოქმედების სიღრმეებს ვერ წვდებით უგემოვნოები ხართ და რაიმე მსგავსი... პირიქით, აღიარებდა, რომ ზოგიერთი გამოსვლის ჩაშლა მხოლოდ მისი ბრალი იყო. მაგალითად: ერთხელ ტექსტი დაავიწყდა და სულ გაჩუმებას არჩია "ანტოშაკა" ემღერა (თქვენც რომ იცით იმ ძველი მულტფილმიდან).

ხოდა ამის მერე შეარქვა ყველამ ანტოშკა. ისე თედო ჰქვია და ყიფშიძეა გვარად.

ბოლოსკენ ანტოშკამ სულ აურია. სცენაზე მთვრალი გამოდიოდა. ყველაფერი ძალიან ცუდად მთავრდებოდა. ბოლოს მის კონცერტზე არავინ, სულ არავინ მიდიოდა. ანტოშკა არ ნებდებოდა და ის და მისი გიტარისტი ვალერა ცარიელ დარბაზში უკრავდნენ. ბოლოს გატყდნენ, მობეზრდათ...

ოცდაშვიდჯერ გამართა თედო ყიფშიძემ მაღაროლეთა ქალქის კულტურის სახლში გამოსვა და ოცდაშვიდჯერვე ჩაიშალა.

****

გითხარით, ახლა ანტოშკა ორმოცდარაღაცა წლისაა. ღერი თმა აღარ შერჩა ძველებურად ოქროსფერი. „ბრადიაგობამ" (ნუ შევალამაზებთ, როგორც მეზობლები იტყვიან) სამოცდარაღაცისას დაამგვანა, თეთრმა ცხელებამ („ბელაიამ" - როგორც მეზობლები იტყვიან) გონება სულ აურია.

ერთხანს ტყეში დაეხეტებოდა და გაიძახოდა, მეც ხე ვარო.

ანტოშკა ახალ ცხოვრებას იწყებს. მისი გადაწყვეტილება მტკიცეა. იმ კვირის დასაწყისში ჩემთან ერთად ჩამოვა მაღაროში. მოხუც დედაზე ზრუნვა ავალდებულებს ამას. მამამისი ახლახანს დაიღუპა მაღაროში ითხვისთან. სხვა არვინ დარცა, რომ მოხუცს უპატრონოს.

სანამ სამუშაოზე წავალთ მის სამზარეულოში ვსხედვართ. არაყს ვსვამთ თუთისას და მთავრობას ვაგინებთ.

- თედო, მერე როკ ენ როლი? - ვეკითხები მე.

ის იცინის... მერე ისევ ვსვამთ და მთავრობას ვაგინებთ.

- თედო, არ გინდა ბოლო კონცერტი გამართო როკ ენ როლთან გამომშვიდობების ამბავში?

ის ხმას არ იღებს. მე ვაგრძელებ:

- გავიგე, მერიაში ჩემი ბიძაშვილი მუშაობს. მაინც არაფერი ტარდება იმ კულტურის სახლში, დაგვითმობენ...

თედო ისევ არ მპასუხობს, მაგრამ ვიცი, რომ უნდა...

- ბიჭო, უნდა წასულიყავი აქედან, სანამ ოქროსფერი ქოჩორი გქონდა, მაგრამ რაც არის არის... ბოლო კონცერტი მაინც გამოვა. ხო გინდა?

- ნუ გაატრაკე, არავინაც არ მოვა... აღარ გახოვს მაშინ მარტო შენ და ანუშკა მოხვედით, - თქვა თედომ და გულიანად გადაიხარხარა.

- მოვლენ მოვლენ, ახლა მოვლენ, - ვამხნევებდი მე.

- დავიღალე. ბავშვობაში ვოცნებობდი სავსე დარბაზში მემღერა. მართლა არავის ჭირდება ეს სიმღერები, მეც დამავიწყდა. ოცდაშვიდჯერ დავუკარი და არცერთხელ მომისმინეს, სასაცილოა...

****

კონცერტის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოლარეს ვკითხე, რამდენი ბილეთი გაიყიდა მეთქი. „არცერთიო“ ისე გახარებულმა მიპასუხა, უეჭველად ერთ-ერთი ის მეზობელი იყო ადრე რომ თედოს მოძღვართან და მერე პოლიციაში უჩივლა.

რამე უნდა მომეფიქრებინა. თედოს დავპირდი. ისე, მაგრად მივქარე, კონცერტი 8-ზე დავნიშნე. ამ დროს „სავაშის“ ბოლო სერიები გადის, ვის გამოიყვან გარეთ.

გაბრაზებული გამოვედი დარბაზიდან. გზად ორი გოგონა შემხვდა. დავპატიჟე კონცერტზე, მაგრამ ცხვირი აიბზუეს. მერე ვიღაც ბიჭებმა-კონცერტი არა და ერთი ჭიქა დაგვილიეო...

შოთას დავურეკე. მსახიობ მეგობარს. ყველაფერი მოვუყევი, ისედაც იცოდა. დამამშვიდა, მე გიშველიო.

ათიოდე წუთში კულტურის სახლთან მოვიდა. ის და მისი მეგობარი პლასტმასის დამტვრეულ ქანდაკებებს მოათრევდნენ. გაოგნებული ვუყურებდი.

- ტერაკოტას ჯარისკაცები არიან. შარშან სპექტაკლისთვის გვჭირდებოდა, მას მერე ჩამოწერილ რეკვიზიტებთან ყრია. პლასტმასია, თორემ ჯართში ჩავაბარებდით. შენ ხომ ხალხი გჭირდებოდა? ... კიდევ მოვიტანთ ასობითაა, - მითხრა შოთამ.

8 საათი შესრულდა. წინა რიგში მე და ანუშა ვისხედით, იქვე შოთა და მისი მეგობარი. უკან ტევა არ იყო. ტერაკოტას ჯარისკაცები რამდენიმე მჭიდრო რიგს ჰქმნიდნენ.

სცენაზე ანტოშკა გამოვიდა. ის და მისი გიტარისტი თუთის არაყით იყვნენ გაჟღენთილი. ჩემი საყვარელი სიმღერა: ''შემოდგომის ლეგენდა'' დაამღერეს...

ოცდარვაჯერ დაუკრა თედო ყიფშიძემ სიმღერა მშვიდობაზე მაღაროლეთა ქალაქში და მხოლოდ ამჯერად სავსე დარაბაზის წინაშე, როგორც მისი ბავშვობის ოცნებაში.